

## ხელშეკრულება

ქ მცხეთა

13 ივლისი 2012 წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ხაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არქსერვისი-2008“, (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნაზღაიძის სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელშეიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგ ზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანში ეწ. „ამირაანთ უბანში“ და სოფ. ძეგვში სს „თოლიას“ კორპუსებთან მისასვლელი გზის ხაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა“. (CPV71200000)

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს – 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლება მოსილ პირს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომხახურების გაწვევის ადგილი და ვადა

5.1 მომხახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73

5.2 მომხახურების გაწვევის საბოლოო ვადაა 2012 წლის 19 ივლისს.

## 6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიწოდებელი მომხახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომხახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომხახურება ხათანადო ხარისხით.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ღერი ტყემალაძე.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომხახურების ხარისხის კონტროლს.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა ხაქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადახინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების უამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

#### 10. დაეუბი და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მოუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 13 ივლისი და მოქმედებს 2012 წლის 19 ივლისის ჩათვლით.

*„მომწოდებელი“*

შპს „არქიტურისი -2008“  
ს/კ 236097781

სს „ლიბერთი ბანკი“-ს  
მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE16LB 0113 1133 4648 9000

*„შემსყიდველი“*

მცხეთის მუნიციპალიტეტი  
ს/კ 236094196

ბანკი: „ლიბერთი ბანკი“-ს  
მცხეთის ფილიალი

კოდი: LBRTGE22

ა/ა GE93LB0120130269077000

მის: ქ. მცხეთა, მუხრანის ქ.17

დირექტორი



გ. ნაზლაძე

მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. N73

მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე

გ. ატაშვილი

